საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

# ბრძანება

ქ. თბილისი

N 128-02
22/01/2020

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიების სკოლაში კომპიუტერული და ელექტრული ინჟინერიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 31-ე, 32-ე მუხლების და 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების” , რექტორის 2019 წლის 18 ნოემბრის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიების სკოლაში კომპიუტერული და ელექტრული ინჟინერიის მიმართულებით ასისტენტ- პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ“ N3850-02 ბრძანების, ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიების სკოლაში კომპიუტერული და ელექტრული ინჟინერიის მიმართულებით ასისტენტ- პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2019 წლის 18 ნოემბრის N3850-02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ რექტორის 2020 წლის 20 იანვრის N93-02 ბრძანების, აკადემიური საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის N12 და 2020 წლის 22 იანვრის N1 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2020 წლის 22 იანვარს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიების სკოლაში კომპიუტერული და ელექტრული ინჟინერიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** გამოცხადებული კონკურსის შედეგი და **კომპიუტერული და ელექტრული ინჟინერიის მიმართულებით ასისტენტ- პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** არჩეული იქნას **ცოტნე ფუტკარაძე.**

2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი.

3.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

გიგა ზედანია

რექტორი